

საქართველოს იუსტიციის მინისტრს

საქართველოს საპროკურორო საბჭოს

თავმჯდომარეს ქალბატონ თეა წულუკიანს

ქალბატონო თეა,

გიდასტურებთ ჩემს ღრმა პატივისცემას.

მივესალმები სამართლებრივ სივრცეში დანწყებულ პროცესებს, რომლებიც ამ ეტაპზე აქტიურ ფაზაში გადადის. საზოგადოებისთვის ცნობილია რომ მიმდინარეობს მთავარი პროკურორის კანდიდატურების შერჩევა და განხილვა.

გთავაზობთ ჩვენი რედაქციების მოსაზრებას კანდიდატურაზე, რომელიც ცნობილია არა მხოლოდ სამართლებრივ სამყაროში, არამედ სრულიად საქართველოს მოსახლეობაში.

ქალბატონი ნანა რევაზიშვილი მაღალი დონის პროფესიონალი იურისტი, გამოცდილი საპროკურორო შრომითი სტაჟით, გამორჩეული ზნეობრივი, კანონის დაცვის მაღალი ხარისხით და უმაღლესი პასუხისმგებლობით.

მან კარგად იცის საქართველოს ყველა რეგიონის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, მათ შორის აფხაზეთის და ცხინვალის, რასაც უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭება ახალ ვითარებაში, ერთიანი საკანონმდებლო სივრცის შექმნის პერიოდისათვის.

ნანა რევაზიშვილი არის მკვლევარი, მეცნიერული შრომების ავტორი. ახალგაზრდობასთან მუშაობის გამოცდილების მქონე. (ამჟამად არის საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (სდასუ) სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი, სამართლის სკოლის დეკანი).

ნანა რევაზიშვილი ქალბატონია, მაგრამ არასოდეს დამფრთხალა იმათ წინაშე, რომლებსაც ზოგჯერ სურდათ კანონზე მაღლა საკუთარი თავის დაყენება.

მისი პრიორიტეტი დღევანდელ საქართველოში უპირველესად არის ის რომ ქალბატონია (დაალაგებს სისტემას), დედაა, (ვერასოდეს ვერ გახდება მნამებული და უსამართლო, უყურადღებო), მეუღლეა (ოჯახის პატივისმცემელი, ღირსების დამცველი).

ნანა რევაზიშვილმა გაიარა ურთულესი გზები, მაგრამ არასოდეს დაუკარგავს პირადი ღირსება, და არც სხვების შეუღახავს, მან არ ითანამშრომლა რეჟიმთან და საკუთარი ნებით დატოვა მთავარი პროკურატურა.

საპროკუროროს ინსტიტუტის ადმინისტრაცია (თბილისი)
საქართველოს საპროკუროროს
" 11 " 11 2015
№ 0119007

ქალბატონი ნანა რევანიშვილი ჩვენი გადაცემების სტუმარი იყო და ამით ვამაყობთ, ის აზროვნებს სახელმწიფოებრივად და ეს არის უმთავრესი! ხაზგასასმელია მისი შემოქმედებითი გზა, რომელიც აუცილებლად გააკეთილშობილებს მკაცრ სისტემას.

გთხოვთ, მიგვიწვიოთ განხილვის პროცესში როგორც მედია საშუალებების წარმომადგენელი.



მაცვალა ბერიანიძე
მედია კავშირი ობიექტივი,
ტელე და რადიო წამყვანი
(FM 105)

გადაცემები: „აფხაზეთის დრო“,
„აზროვნების თავისუფლება“.

09. 11. 2015.

ტელ: 599 58 32 18.

პ/ნ 01009008844.